ინდივიდუალური აუდიტორი დავით რობაქიძე

ლიცენზია ზ. №159 (30.06.2000 წ.); სერთ. ზ№6/114 (06.02.2012 წ.); SARAS-A-455106 (ბრძანება №175, 23.01.2017 წ.); სქშეი - სერთ. №064 (08.08.2016 წ.); სერთ. №CE-012-11; საი - სერთ. №0061 (14.05.2014 წ.);
ს/ნ: 01013024727; მის.: თბილისი, ვარკეთილი-3, II მკ/რ-ნი, 15-87
E-mail: davidrobakidze1956@gmail.com ტელ.: 599 30 15 84; 2 79 84 40

№004/4-2 25 აპრილი 2023 წელი

აუდიტის დასკვნა

ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის 2022 წლის ფინანსური საქმიანობის შედეგების შესახებ

მოსაზრება:

დამოუკიდებელმა აუდიტორმა დავით რობაქიძემ (პ/ნ 01013024727) სერტიფიკატი ზოგად აუდიტში ზ.N6/114 (06.02.2012), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში სარეგისტრაციო ნომრით SARAS A-455106, ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის (ს/ნ 437085916) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განვახორციელე ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული სააგარიშო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს:

- საანგარიშო პერიოდის დასრულებისათვის ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) აუდიტს;
- საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგების (მოგება-ზარალის ანგარიშგება) აუდიტს;
- საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების აუდიტს;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების აუდიტს იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

ჩემი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახვს ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფინანსურ მდგომრეობას 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, შედგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც საშუალებას მაძლევს, რომ ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფინანსურ საქმიანობაზე გავცე უპირობო (დადებითი) დასკვნა.

ხელმძღვანელობის პასუხიმგებლობა ფინანსურ ანგარიშზე

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე, რომელიც ასახავს საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ-ის ფინანსურ მდგომრეობას, წარმოებული ოპერაციის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და აქტივების ცვლილებას, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა განისაზღვრება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, რომელიც ფინანსური ანგანრიშგების სტანდარტების მოთხოვნების დაცვასთან ერთად მოიცავს:

- შიდა კონტროლის სისტემის შექმნას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შედომის ან თაღლითობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაზე დაშვებული არსებითი შეცდომების გამოვლენა;
- გაცხადებას არის თუ არა არჩეული და გამოყენებული შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა;
- ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით პროგნოზირებად მომავალში საწარმოო ფუნქციონირებას არ შეწყვეტს.

ზოგადად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს რა შიდა კონტროლის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოთქვას თავისი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. მე, როგორც დამოუკიდებელმა აუდიტორმა აუდიტი ჩავატარე აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს რომ განხორციელებული ქმედებები შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღო უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს და შევაფასო ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის ფინანსური საქმიანობის შედეგები საანგარიშო 2022 წლის პერიოდისათვის.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანშგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წყრმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შეფასებისას აუდიტორული პროცედურების შემუშავებისათვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემებზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვე აუდიტის დაკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს ჩემთვის და შესაძლებლობას მაძლევს გამოვთქვა მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებაზე დასკვნის სახით.

დასკვნა

ჩემი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ასახავს ა(ა)იპ თავისუფალი მედია სივრცის (ს/ნ 437085916) ფინანსურ საქმიანობას 2022 წლის საანგარიშო პერიოდში უტყუარად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და შესაბამისობაშია მისი საქმიანობის შედეგებთან. რეალურად ასახავს ფულადი ნაკადების მოძრაობას და 2022 წლის განმავლობაში საკუთარ ფონდში ცვლილებებს. ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან და სამართლიანად ასახავს საზოგადოების საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შედეგებს 2022 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის.

შენიშვნა: დასკვნას თან ერთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მონაცემები.

ინდივიდუალური აუდიტორი 01013024727 დ. რობაქიძე

თბილისი
2023 წლის 25 აპრილი